სსიპ კოლეჯი "ფაზისი"

LEPL College " PHAZISI "

სტრატეგიული განვითარების გეგმა 2020-2026

საჯარო სამართლის იურიდიული პირი კოლეჯი „ფაზისი"

ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. № 54;

ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნოჯიხევი

(493) 275306 ; (493) 275305

http://phazisi.edu.ge/

სარჩევი

1. შესავალი 4

1.1 სასწავლებლის ისტორია 4

1.2 კოლეჯის შესახებ 5

2. კოლეჯის მისია 6

2.1 მისია და ხედვა 6

2.2 სტრატეგიული ჩარჩო 7

2.3 სამუშაო პრონციპები და ღირებულებები 9

3. სტრატეგიის დასაბუთება 9

3.1 გარემოს დახასიათება 9

3.2 კოლეჯის შეფასება 10

SWOT ანალიზი 11

4. პროგრამის განვითარება და განხორციელება 12

4.1 სამიზნე ჯგუფი და მოსარგებლე მხარე 12

4.2 პროფესიული სტუდენტის და მსმენელი მოზიდვა 13

4.3 კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა 14

4.4 რესურსის განვითარება და ხარისხის უზრუნველყოფა 16

ძირითადი ამოცანები 17

სტრატეგიული განვითარების გეგმის განხორციელების გრაფიკი 20

1. შესავალი

1.1 სასწავლებლის ისტორია

სსიპ კოლეჯი "ფაზისი"თავისი არსებობის მრავალ ათეულ წელს ითვლის. იგი დაარსდა 1957 წელს. წლების განმავლობაში ეს სასწავლო კერა ახორციელებდა მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას ქალაქის შრომის ბაზრის მოთხოვნათა საფუძველზე. კოლეჯის ბაზაზე მიმდინარეობდა მუშა-მოსამსახურეთა მომზადება-გადამზადება სხვადასხვა სპეციალობებში. კოლეჯმა თავისი არსებობის მანძილზე რამდენჯერმე მცირედ იცვალა მიმართულება, მაგრამ ძირითადი პროფილი უცვლელი დარჩა.

2011 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელდა კოლეჯის სრული რეაბილიტაცია. კოლეჯი განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ აგრეთვე სრულად აღიჭურვა ინვენტარითა და თანამედროვე ელექტრო და კომპიუტერული ტექნიკით. სსიპ კოლეჯის "ფაზისი" სასწავლო და საწარმოო გარემოს შექმნას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი გაეროს განვითარების პროგრამამ, რომლის თანადგომით კოლეჯში შეიქმნა მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. კოლეჯის მატერიალური ბაზის შევსებას ხელი შეუწყვეს აგრეთვე სხვა დონორმა ორგანიზაციებმაც - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ, ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭომ და ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველოს პროფესიული განათლების პროექტის პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარების საგრანტო პროექტმა - "ინოვაციები მეთევზეობის ინდუსტრიაში".

ქალაქი ფოთი, თავისი განვითრების გზაზე აუცილებლად მოითხოვს კვალიფიცირებულ მუშა-ხელს და ჩვენი კოლეჯის მიზანიც მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაა. ჩვენი რეგიონისათვის პრიორიტეტია ფოთის პორტის განვითარება, ამ მხრივ კოლეჯი აქტიურად არის ჩართული ამ დარგის სპეციალისტების მომზადებაში. ქალაქის შრომის ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინებით კოლეჯი ამზადებს აგრეთვე სპეციალისტებს სამშენებლო სფეროში. კოლეჯი თანამშრომლობს ქალაქის მრავალ ორგანიზაციასთან და ეს ორგანიზაციები წარმოადგენენ ბაზას საწარმოო პრაქტიკის გასავლელად ჩვენი სტუდენტებისათვის. კოლეჯში სწავლობენ, როგორც ადგილობრივი, ასევე მიმდებარე რეგიონებიდან ჩამოსული ადამიანები, ასევე, ჩვენი კარი ღიაა მზრუნველობა მოკლებული, განსხვავებული უნარის მქონე, დევნილი და სოციალურად დაუცველი ფენებისათვის. კოლეჯი სრულად ადაპტირებულია სსსმ და შშმ პირებისათვის.

კოლეჯისათვის უმნიშვნელოვანესია შემდგომი განვითარება და ხარისხისა და მიმზიდველობის ზრდასთან ერთად, გეოგრაფიული არეალის გაფართოებაც და რადგანაც სამეგრელოს მხარეში, ეკონომიკური საქმიანობის თვალსაზრისით, ყველაზე აქტიური სწორედ ხობის მუნიციპალიტეტია და განვითარების კარგი პერსპექტივები აქვს განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის მიმართულებას, გაჩნდა ინიციატივა, ხობის მუნიციპალიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები/ პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადების პროგრამებიშეიძლება განხორციელებულ იქნეს ჩვენს მიერ და გაიზარდოს დასაქმებისა და თვითდასაქმების შესაძლებლობები. ამ მიზნით, უვადო სარგებლობის უფლებით კოლეჯს გადმოეცა ხობში სოფელ ნოჯიხევში მდებარე

შენობა-ნაგებობა მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთით (ყოფილი პროფესიული სწავლების ცენტრი) მიმდინარე ეტაპზე ზემო აღნიშნული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია ნაწილობრივ დასრულდა.

კოლეჯს, რეგიონის განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით განსაზღვრული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო/პრო პროგრამების დამატება სხვა და სხვა მიმართულებით. კოლეჯის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. კოლეჯი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. იგი ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებით, "პროფესიული განათლების შესახებ" და "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონებით, ასევე სხვა ნორმატიული აქტებითა და კოლეჯის წესდებით. აგრეთვე, საქმიანობას წარმართავს განათლების უფლებასთან დაკავშირებული საერთაშორისო სამართლის ძირითადი კონვენციებისა და აქტების შესაბამისად.

კოლეჯის ყველა თანამშრომელი ხელმძღვანელობს დამტკიცებული შინაგანაწესით მათზე დაკისრებული ფუნქციონალური მოვალეობებიდან გამომდინარე და საშტატო განრიგის შესაბამისად. კოლეჯს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიში, ბეჭედი და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

კოლეჯი არის ISO ხარისხის მენეჯმენტის სისტემის 9001:2015 სერტიფიკატის მფლობელი.

1.2 კოლეჯის შესახებ

სსიპ კოლეჯი ,,ფაზისი" ახორციელებს შრომის ბაზარზე ორიენტირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ძირითადი მიმართულებებია: აგრარული მეცნიერებანი, ბიზნესის ადმინისტრირება, ინჟინერია, ხელოვნება, მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები. პროფესიული საგანმათლებლო პროგრამების პარალელურად კოლეჯი ახორციელებს პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებს, ასევე სხვადასხვა ტიპის ტრენინგ - კურსებს, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.

TÜVNORD

Certificate

TÜVNORD
TÜV NORD CERT GmbH
DIN EN ISO 9001
tuev-nord.de

Management system as per
DIN EN ISO 9001:2015

The Certification Body TÜV NORD CERT GmbH hereby confirms as a result of the audit, assessment and certification decision according to ISO/IEC 17021-1:2015, that the organization

LEPL College "PHAZISI"
 # 54 Konstitution str.
4400 / Poti
Georgia

operates a management system in accordance with the requirements of DIN EN ISO 9001:2015 and will be assessed for conformity within the 3 year term of validity of the certificate.

Scope

Provision of Vocational education, training courses, evaluation and/or attestation activities

Certificate Registration No. 44 100 232646
Audit Report No. 3536 3044

Valid from 2024-01-30
Valid until 2027-01-29
Initial certification 2023

Essen, 2024-01-30

Certification Body at TÜV NORD CERT GmbH

Visit our database to verify the validity of this certificate.

TÜV NORD CERT GmbH
Am TÜV 1, 45307 Essen
www.tuev-nord-cert.com

TÜV®

IAF
DAkkS Deutsche Akkreditierungsstelle D-ZM-12007-01-00

TÜVNORDGROUP

კოლეჯს გააჩნია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადების პროგრამების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. საქმიანობა ხორციელდება კვალიფიციური, პრაქტიკული გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების

მასწავლებლების/პროგრამის განმახორციელებლების, კომპანიების ინსტრუქტორების, ადმინისტრაციული პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების, კერძო და საჯარო სექტორის კოორდინირებული თანამშრომლობით.

კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და პრაქტიკული გამოცდილების გაზიარების მიზნით კოლეჯი თანამშრომლობს რეგიონში არსებულ დიდ, საშუალო და მცირე ორგანიზაციებთან (სასტუმროები, რესტორნები, სამშენებლო კომპანიები, სამკერვალო ფაბრიკები, სამკერვალო ატელიები, საჯარო დაწესებულებები, გადამზიდი კომპანიები და ა.შ). სოციალური პარტნიორობის მაღალი ხარისხი კოლეჯის ძლიერი მხარეა.

კოლეჯი მომხმარებლებს სთავაზობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს/ პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადების პროგრამებს, რომლებიც მორგებულია შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებთან. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ყოველწლიურად იზრდება პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რაოდენობა. სსიპ კოლეჯში ,,ფაზისი“ დანერგილია ინკლუზიური პროფესიული განათლება, რომლის მიზანია კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერა და ხელშეწყობა, მათ შორის პროფესიული განათლების სექტორში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართვის უზრუნველყოფა, მათი დასაქმება როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სექტორში.

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ინკლუზიური პროფესიული განათლების პროცესში ჩართულნი არიან ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ასისტენტი, რომლებიც მონაწილეობენ პროფესიული სტუდენტის დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდაში.

კოლეჯი ახორციელებს პროფესიული უნარების განვითარების კურსებს საჯარო სკოლებთან ერთად. კოლეჯი თანამშრომლობს როგორც ქალაქის, ასევე, ხობის, სენაკის, მუნიციპალიტეტების საჯარო სკოლებთან.

კოლეჯის „ფაზისი“ მიზანია გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ინტეგრაცია მის მიერ განხორციელებული საქმიანობის ყველა ეტაპზე,

2. კოლეჯის მისია

2.1 მისია და ხედვა

სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ არის მრავალპროფილური პროფესიული დაწესებულება, რომელიც პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოებით, საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდის უზრუნველყოფით, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული შესაბამისი კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებით, მთელი სიცოცხლის მანძილზე პირის პროფესიული და პიროვნული განვითარებით, წვლილი შეიტანოს ქვეყნისა და რეგიონის ეკონომიკურ განვითარებასა და წინსვლაში.

კოლეჯის ხედვაა იყოს ლიდერი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, როგორც რეგიონში, ისე ქვეყანაში, მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული მოქნილი ხარისხის სისტემის ჩამოყალიბებით, სხვადასხვა მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლების მაღალი სტანდარტების დანერგვით, ქალებისა და კაცებისთვის თანასწორი პირობების შექმნით, დასაქმების მაღალი მაჩვენებლებით, საჯარო/კერძო/საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით.

ღირებულებები:

- პროფესიონალიზმი;
- ორიენტაცია შედეგზე;
- უწყვეტი სწავლების ხელშეწყობა;
- სოციალური ინკლუზია;
- გუნდური მუშაობა;
- გამჭვირვალობა;
- სწრაფვა ინოვაციისკენ.

2.2 სტრატეგიული ჩარჩო

კოლეჯის სტრატეგიული ჩარჩო აერთიანებს საქმიანობის შემდეგ ძირითად მიმართულებას: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება; პროფესიული სტუდენტის და მსმენელის მოზიდვა გენდერულ თანასწორობაზე აქცენტით; კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა; რესურსების განვითარება და ხარისხის უზრუნველყოფა.


პროფესიული სტუდენტის და მსმენელის მოზიდვა
პროგრამების განხორციელება
რესურსების განვითარება და ხარისხის უზრუნველყოფა
კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა

2.3 სამუშაო პრინციპები და ღირებულებები

საქმიანობაში კოლეჯი ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპებითა და ღირებულებათა სისტემით:

პრინციპები:

- ✓ ორიენტაცია შედეგზე, მოქნილი მიდგომა და უწყვეტი სწავლების ხელშეწყობა;
- ✓ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება და ინტენსიური პრაქტიკა;
- ✓ დამსაქმებლის აქტიური როლი სწავლებაში;
- ✓ პერსონალის და ორგანიზაციის მუდმივი განვითარება;

ღირებულებები:

- პროფესიონალიზმი და ხარისხის მაღალი სტანდარტი;
- ორიენტაცია შედეგზე, მოქნილი მიდგომა და უწყვეტი სწავლის ხელშეწყობა;
- პროფესიული ინარებისა და აზროვნების მუდმივი განვითარება;
- თანასწორობა, სამართლიანობა და პროცესის გამჭვირვალობა;
- ინკლუზიური სწავლის ხელშეწყობა;
- გუნდური მუშაობა;
- სწრაფვა ინოვაციისკენ.

3. სტრატეგიის დასაბუთება

3.1 გარემოს დახასითება

სტრატეგიული მიმართულებები განისაზღვრა იმ გარემოებათა კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, რომლებიც საფრთხეს უქმნიან სტრატეგიის რეალიზაციას და იმ გარემოებათა შესწავლის გზით, რომლებიც წარმოადგენენ შესაძლებლობას.

შესაძლებლობები:
მოთხოვნის ზრდა პროფესიულ განათლებაზე. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში შეინიშნება დადებითი ცვლილებები სოფლის მეურნეობაში და არა მხოლოდ, რაც ზრდის მოთხოვნას პროფესიულ განათლებაზე;

განათლება სახელმწიფო პრიორიტეტია, მათ შორის პროფესიული განათლების სფერო სახელმწიფოს განვითარების პრიორიტეტული მიმართულებაა. ხორციელდება მნიშვნელოვანი სახელმწიფო პროგრამები, იგეგმება განათლების სფეროს დაფინანსების ზრდა; სახელმწიფომ, ასევე განსაზღვრა პრიორიტეტები, რომელიც მიმართულია განათლების ხარისხისა და შესაბამისობის თანასწორობის, ინკლუზიურობისა და მრავალფეროვნებისკენ;

„საგანმანათლებლო ჩიხის“ აღმოფხვრა. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული განათლების ინტეგრაცია საშუალებას აძლევს პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებულს სურვილის შემთხვევაში განაგრძოს სწავლა უმაღლეს დაწესებულებაში;

ეკონომიკური საქმიანობის უფლება - პროფესიულ სასწავლებელს მიეცა დამხმარე კომერციული საქმიანობის წარმოების უფლება (მაგალითად, პრაქტიკული მეცადინეობის დროს შექმნილი პროდუქციის რეალიზაცია, მომსახურების გაწევა თუ სხვა);

საფრთხის შემცველი ფაქტორები:

ინტენსიური კონკურენცია - პროფესიული სასწავლებლების რაოდენობა, მათ მიერ შეთავაზებული პროგრამები (მათ შორის უნივერსიტეტების პროფესიული პროგრამები), მეტ-ნაკლებად თანაბარი რესურსები და ორგანიზაციული კომპეტენცია ამძაფრებს კონკურენციას;

არსებული რესურსების ეფექტურად განკარგვის შესაძლებლობის არ გამოყენება გენდერული თანასწორობის მიმართულებით;

რადიკალიზაციის საფრთხე - რადიკალიზაციის საფრთხე გლობალური პრობლემაა, განსაკუთრებით მოშორებით მდებარე შედარებით ღარიბ გეოგრაფიულ რაიონებში.

3.2 კოლეჯის შეფასება (ძლიერი და სუსტი მხარე)

გარემოს ანალიზთან ერთად, სტრატეგია ეყრდნობა ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასებას.

ძლიერი მხარე:

- კვალიფიცირებული პროფესიული განათლების მასწავლებლები
- პარტნიორთა ქსელი. კოლეჯს ჰყავს მრავალი პარტნიორი ორგანიზაცია
- დუალური პროგრამების განხორციელების გამოცდილება.
- ინტეგრირებული მიდგომით სწავლების გამოცდილება
- CISCO ქსელური აკადემიის წევრობა. კოლეჯი არის CISCO ქსელური აკადემიის წევრი
- ISO ხარისხის მენეჯმენტის სისტემის 9001:2015 სერტიფიკატის მფლობელი.

სუსტი მხარე:

- საერთო საცხოვრებლის არ არსებობა. საერთო საცხოვრებლის არ არსებობა ართულებს იმ აპლიკანტების მოზიდვას, რომლებიც არ ცხოვრობენ ქალაქ ფოთში.
- სპორტული მოედნის არარსებობა
- ტრანსპორტის (მინი ავტობუსი, პროფესიულ სტუდენტთა ტრანსპორტირებისათვის) არქონა;

SWOT ანალიზი

ძლიერი მხარე

- მრავალწლიანი გამოცდილება პროფესიული განათლების განხორციელებისა და განვითარების მიმართულებით;
- გარემონტებული ინფრასტრუქტურა, აღჭურვილი სახელოსნოები;
- ადაპტირებული სასწავლო გარემო (ლიფტი; სველი წერტილი, პანდუსები) და ადაპტირებული სასწავლო მასალები;
- კვალიფიცირებული პროფესიული განათლების მასწავლებლები;
- მოტივირებული პერსონალი;
- პარტნიორთა ქსელი. კოლეჯს ჰყავს მრავალი პარტნიორი ორგანიზაცია
- დამსაქმებელთა ფართო სპექტრი;
- ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა;
- CISCO ქსელური აკადემიის წევრობა;
- სამრეწველო და ინოვაციური ლაბორატორიის ფუნქციონირება და სასწავლო პროცესში ეტაპობრივი ინტეგრაცია;
- ISO ხარისხის მენეჯმენტის სისტემის 9001:2015 სერტიფიკატის მფლობელი

სუსტი მხარე

- საერთო საცხოვრებლის არ არსებობა. საერთო საცხოვრებლის არ არსებობა ართულებს იმ აპლიკანტების მოზიდვას, რომლებიც არ ცხოვრობენ ქალაქ ფოთში, განსაკუთრებით სიღარიბის პირობებში;
- სპორტული მოედნის არარსებობა;
- ტრანსპორტის არქონა, პროფესიულ სტუდენტთა ტრანსპორტირებისთვის;
- კოლეჯს არ აქვს კვების ობიექტი / ბუფეტი/კაფეტერია;

შესაძლებლობა

- ახალი სახელოსნოების მშენებლობის პერსპექტივა;
- მოთხოვნის ზრდა პროფესიულ განათლებაზე;
- ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის შესაძლებლობა;
- განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მხარდაჭერა ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები/ პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადების პროგრამებისდანერგვაში;
- დამსაქმებლისა და საზოგადოების მხრიდან პროფესიული განათლების მიღებაზე საჭიროებების არსებობა;
- პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის თვითრეალიზაციის ხელშეწყობა.
- გენდერული სტსტისტიკის წარმოების მდგრადი პროცდურების შემუშავება.

საფრთხე

- შრომის ბაზრის სწრაფი განვითარება და მუდმივად ცვლადი გარემო;
- პროფესიული კადრების, მუშახელის მიგრაცია ქვეყნის ფარგლებს გარეთ;
- ინტენსიური კონკურენცია;
- მენტალური აზროვნება;
- შრომის ბაზარზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის დისბალანსი.
- გენდერული მეინსტრიმინგის შესაძლებლობების არ გამოყენება.

4. პროგრამების განვითარება და განხორციელება

4.1 სამიზნე ჯგუფი და მოსარგებლე მხარე

- სამეგრელო- ზემო სვანეთის რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდები, რომლებსაც სურთ მიიღონ პროფესიული განათლება;
- ზრდასრული მოსახლეობა, რომელსაც სურს აიმაღლოს კვალიფიკაცია და /ან ახალ სპეციალობას დაეუფლოს დასაქმების ან თვითდასაქმების მიზნით;
- დამსაქმებელი, რომელსაც სურს მოამზადოს და /ან გადაამზადოს კადრები;
- სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ბენეფიციარები;
- სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამები და/ან დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობას;
- დონორი ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული პროგრამები;
- საგრანტო პროგრამები

სტრატეგიული მიზანი

- სტრატეგიული მიზანია პროფესიული პროგრამების მუდმივი განვითარება ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, სწავლის მსურველთა დაფარვისა და სწავლების ეფექტიანობის ზრდა.
- მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის საფუძველზე ეკონომიკის საჭიროებების შესაბამისი და მსწავლელზე ორიენტირებული პროფესიული სწავლების და გადამზადების სისტემის განვითარება, რათა თითოეულმა ადამიანმა შეძლოს თავისი შესაძლებლობის სრულად გამოვლენა და მაღალი ხარისხის პროფესიული განათლების მიღება მისი სქესის, გენდერული იდენტობის, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის, საცხოვრებელი ადგილის, ეთნიკური წარმოშობის და შეზღუდული შესაძლებლობის მიუხედავად.

სწავლის ხარისხით კმაყოფილების მაჩვენებელი შეადგენს პროფესიული სტუდენტებისა და მსმენელების სულ მცირე 80%.
კოლეჯი „ფაზისი“ შედარებით გრძელვადიან პერსპექტივაში განიხილავს რიგი ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების / პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავებას და არაფორმალური განათლების აღიარებას.

პროფესიული სტუდენტისა და მსმენელის მოზიდვა

კომუნიკაცია პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მოზიდვის მიზნით ინტენსიური და დივერსიფიცირებულია, კოლეჯის ცნობადობა გაზრდილია.

წარმატების ინდიკატორები

- 2021 წლისათვის კოლეჯის ცნობადობა სამიზნე ჯგუფში მიაღწევს სულ მცირე 60%;
- 2022 წელს კოლეჯში სწავლის მსურველთა რაოდენობა გაზრდილია სულ მცირე 2-ჯერ.
- ქალებისა და გოგონებისთვის სტერეოტიპულად მიმზიდველი პროფესიების რიცხვი გაზრდილია სულ მცირე 2 პროგრამით.
- 2023-2025 წელს კურსდამთავრებულთა დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი შეადგენს 75-80%ს.
- 2026 წელს საჯარო-კერძო პარტნიორობის მაჩვენებელი გაზრდილია სულ მცირე 2-ჯერ.

4.2 პროფესიული სტუდენტისა და მსმენელის მოზიდვა

ძირითადი ღონისძიებები

პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მოზიდვის მიზნით იგეგმება შემდეგი ღონისძიებები:

1. კომუნიკაციის სტრატეგიის განსაზღვრა

განისაზღვროს კოლეჯის პოზიციონირება და შემუშავდეს კომუნიკაციის სტრატეგია, საზოგადოებასთან ურთერთობის გეგმა, დადგინდეს მიზნები, მეთოდები და საშუალებები.

პირდაპირი კომუნიკაცია

კოლეჯი აწარმოებს პირისპირ შეხვედრებს პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მიზნით, რისთვისაც იგი:

• რჩება პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამის პარტნიორ სულ მცირე 20 სკოლაში და გეგმავს განახორციელოს პროფესიული უნარების განვითარების კურსები. აქტიურ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ჩართულობის გზით გეგმავს სულ მცირე 30 გასვლით შეხვედრას მოსახლეობასთან ყოველწლიურად;

• სტუდენტთა/მსმენელთა მოზიდვისა და პროგრამების შერჩევის პროცესში გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრის მიზნით, ატარებს საინფორმაციო კამპანიებს, მათ შორის, სოციალური ინკლუზიის სამიზნე ჯგუფებზე აქცენტით;

• მართავს დამსაქმებელთან სისტემატიურ შეხვედრებს სოციალური პარტნიორობის გაძლიერების მიზნით.

• შეიმუშავებს საკომუნიკაციო სტრატეგიას მუნიციპალიტეტში და რეგიონში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით.

საჯარო ღონისძიებების ორგანიზება

პროფესიულ სტუდენტთა /მსმენელთა მოზიდვის მიზნით კოლეჯი გეგმავს ყოველწლიურად ღონისძიებების (მაგალითად, ღია კარის დღე, სტუდენტური ფესტივალი და სხვა) ორგანიზებას. ასევე, მონაწილეობას სხვადასხვა ღონისძიებაში (მაგალითად, დარგობრივი

გამოფენები, ფორუმები. კონფერენციები და სემინარები და სხვა). ყველა დეგეგმილ ღონისძიებებში გათვალისწინებულია გენდერული ხედვა და საკითხები.

კომუნიკაცია ინფორმაციის მასობრივი საშუალებების გამოყენებით

კოლეჯი გეგმავს გამოიყენოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები (რადიო, ტელევიზია, ბეჭდური მედია) მოსახლეობის ინფორმირებისა და პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მოზიდვისათვის. ამისათვის იგი მიიღებს მონაწილეობას სხვადასხვა თემატურ სატელევიზიო გადაცემებში პროფესიული განათლების საკთხებზე, ეცდება ამ გადაცემებში ჩართოს პოტენციური დამსაქმებელიც. ამასთან, კოლეჯი გეგმავს მუშობას მედიასთან პროფესიული განათლების საკითხებზე. კოლეჯის მიერ დაგეგმილ საინფორმაციო საშუალებებში მონაწილეობისას გათვალისწინებული იქნება გენდერულად დაბალანსებული ინფორმაციის მიწოდება აუდიტორიისთვის.

კომუნიკაცია სოციალური მედიის მეშვეობით

კოლეჯი გეგმავს აქტიურად გამოიყენოს სოციალური მედია, ვებ გვერდი, სოციალური ქსელი. მოსახლეობისათვის წარამტებული კურსდამთავრებულების, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და დუალური პროგრამის ინსტრუქტორების საქმიანობის გასაცნობად. ინფორმაციის გავრცელების და გაცნობისას გენდერულად დაბალანსებული ვიზუალური მასალის გამოყენება, რაც გენდერული სტერეოტიპების რღვევას უწყობს ხელს.

რეგულარული კავშირი ხელისუფლებასთან

კოლეჯი აგრძელებს სისტემატიურ ურთიერთობას სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, ხობის მუნიციპალიტეტისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ თვითმმართველობასთან.

რეგულარული კავშირი სამოქალაქო სექტორთან

კოლეჯი აგრძელებს სისტემატიურ ურთიერთობას სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან.

4.3 კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა

სამიზნე ჯგუფი და მოსარგებლე მხარე

- პოტენციური დამსაქმებელი - სხვადასხვა დარგის კომპანიები;
- მოდულური/ინტეგრირებული/დუალური პროგრამების, მოკლევადიანი პროფესიული მომზადება- პროფესიული გადამზადების პროგრამების კურსდამთავრებულები.

სტრატეგიული მიზანი

სტრატეგიული მიზანია გაიზარდოს დასაქმების სერვისის ეფექტიანობა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კომპეტენციით და ხელი შეუწყოს დასაქმებულთა გენდერულ ბალანსს.

წარმატების ინდიკატორები

- დასაქმებისა და თვითდასაქმების საშუალო მაჩვენებელი სეზონურ და მუდმივ სამუშაოზე არჩეული პროფესიით ყოველწლიურად იზრდება სულ მცირე 2% -ით;
- დასაქმებულთა და თვითდასაქმებულთა დაბალანსებული გენდერული მაჩვენებელი ისეთ პროფესიებში, სადაც ნაკლებად მონაწილეობდნენ ქალები გაზრდილია;
- კურსდამთავრებულთა კარიერული ზრდის მაჩვენებელი გაუმჯობესებულია

ძირითადი ღონისძიებები

კოლეჯი აცნობიერებს კურსდამთავრებულთა კარიერული ზრდის მნიშვნელობას და გეგმავს კურსდამთავრებულთა დასაქმების მიზნით, რიგ ღონისძიებებს.

კურსდამთავრებულთა და პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება

კოლეჯი სისტემატიურად იღებს და აწვდის პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს ინფორმაციას ვაკანსიის თაობაზე. ამ მიზნით იგეგმება გაგრძელდეს სისტემატიური კავშირი სამიზნე დარგში მოქმედ დამსაქმებელ კომპანიებთან.

იგეგმება შეიქმნას კურსდამთავრებულთა და პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ონლაინ ბაზა. სადაც სტუდენტს/მსმენელს შეეძლება წარმოადგინოს საკუთარი თავი და ნამუშევრები. ასევე, წარმოდგენილი იქნება სტერეოტიპულად "კაცის პროფესიად" ან „ქალურ პროფესიად" მიჩნეული პროგრამების კურსდამთავრებულ და სტუდენტ/მსმენელ ქალების/გოგონების, კაცების/ბიჭების წარმატებული ისტორიები. ბაზა ხელმისაწვდომი იქნება დამსაქმებლისათვის და ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულის დასაქმებას.

დამსაქმებელთა ჩართულობა სწავლების პროცესში

იგეგმება დამსაქმებელთა ჩართვა პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავებისა და/ან დანერგვის პროცესში. ამგვარი თანამშრომლობა ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულთა დასაქმებს.

კურსდამთავრებულთა დასაქმების ფორუმი

სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობასთან ერთად, კოლეჯი გეგმავს ყოველი გამოშვების ბოლოს მოაწყოს კურსდამთავრებულთა დასაქმების ფორუმი,გენდერული ბალანსის დაცვით. სადაც კურსდამთავრებულებს მიეცემათ საშუალება წარუდგინონ თავი და საკუთარი ნამუშევრები პოტენციურ დამსაქმებელს.

სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარება

კოლეჯი გეგმავს სამეწარმეო უნარ-ჩვევების (სამეწამრეო ინიციატივა, საკუთარი თავის პრეზენტაცია და სხვა მსგავსი) განვითარებას, როგორც უნივერსალურ კომპეტენციას. ასევე კოლეჯი გეგმავს ხელი შეუწყოს უცხოური ენის სწავლებას, როგორც დამატებით სასწავლო აქტივობას.

4.4 რესურსების განვითარება და ხარისხის უზრუნველყოფა

სამიზნე ჯგუფი და მოსარგებლე მხარე

• კოლეჯის პროფესიული სტუდენტი და მსმენელი;
• პროფესიული განათლების მასწავლებლები და ადმინისტრაცია;
• დუალური პროგრამის ინსტრუქტორები.

სტრატეგიული მიზნები

სასწავლო პროცესს წარმართავენ მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლები და დუალური სწავლების ინსტრუქტორები.
სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილ, ადაპტირებულ სასწავლო გარემოში და უზრუნველყოფილია სათანადო სასწავლო რესურსებით, შექმნილია კომფორტული გარემო სწავლისა და პიროვნული განვითარებისათვის.
კოლეჯის მართვის სისტემა არის მუდმივი განვითარებისა და სრულყოფის საგანი, შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტს.

წარმატების ინდიკატორები

• 2020 წლის ბოლოს, კოლეჯს გააჩნია შესაბამისად აღჭურვილი რეაბილიტირებული შენობა (ფოთი, ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნოჯიხევი) გათვლილი სულ მცირე 600 სტუდენტზე/მსმენელზე ერთ ცვლაში;
• ყოველწლიურად თანამშრომელთა სულ მცირე 15% (ადმინისტრაცია, პროფესიული განათლების მასწავლებელი) გადის კვალიფიკაციის ამაღლების სულ მცირე 1 კურსს;

• კოლეჯის პერსონალისათვის გენდერული თანასწორობის საკითხებზე სპეციალური ტრენინგების ჩატარება. სულ მცირე ერთი ტრენინგი;

• კოლეჯი სერტიფიცირებულია ISO 9001-2015 ხარისხის მართვის სისტემის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად;

• პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომითი კმაყოფილების მაჩვენებელი არა ნაკლებ 85%;
• პროფესიული სტუდენტების/მსმენელების კმაყოფილება სასწავლო გარემოთი 85%.

ძირითადი ამოცანები

1.ინფრასტრუქტურის განვითარება

- 2020 წელს კოლეჯის ეზოში აშენდება სახელოსნო-სადურგლო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ხის მხატვრული დამუშავება'' ფარგლებში.
- 2021 წელს მოეწყობა სახელსნოები, პრფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: ,,შედუღება'', ,,მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება'', ,,მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება'' ფარგლებში.
- 2022 წელს სამოქმედო გეგმის მიხედვით პროგრამების აღჭურვილობა შესაბამისი სასწავლო აღჭურვილობით (მაგ. პროგრამის სიმულატორი, სასწავლო სტენდი და ა.შ)
- 2023-2024 წელს კოლეჯის დამხამრე შენობის პროექტირება, მშენებლობა და მოწყობა.
- 2023 წელს კოლეჯში ფოთისა და ხობის ლოკაციაზე მეხამრიდებისა და ცენტრალური ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის პროექტირება/მოწყობა.
- 2023 წელს კოლეჯის სასწავლო სივრცეების (აუდიტორიების) რაოდენობის ზრდა.
- 2025-2026 წელს კოლეჯში, ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოჯიხევის ლოკაციაზე სველი წერტილების მოწყობა, შენობის შიგნით .
- 2025 -2026 წელს ხობის მუნიციპალიტეტი სოფელი ნოჯიხევის ლოკაციაზე სახელოსნოების დაპროექტება, აშენება და მოწყობა სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.
- 2023- 2025 წელს სახელოსნოების დაპროექტება, აშენება და მოწყობა შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, როგორიცაა: ,,ელექტროობა'', ,,ამწის ოპერირება'', ,,კონდიტერია''.
- 2026 წელს კოლეჯს, ხობის მუნიციპალიტეტ სოფელ ნოჯიხევის ლოკაციაზე ავტობუსი, რომელიც მოემსახურება პროფესიულ სტუდენტებს ახლომდებარე სოფლებიდან ტრანსპორტირების მიზნით.
- 2025-2026 წელს კოლეჯის ეზოს კეთილმოწყობა და სპორტული მოედნის მშენებლობა.
- 2026 წელს ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოჯიხევის ლოკაციაზე ოთხსართულიანი შენობის რეაბილიტაცია, ეზოს კეთილმოწყობა და სპორტული მოედნის მშენებლობა.

2. ადამიანური რესურსის განვითარება

• კოლეჯის პერსონალისათვის რეგულარული შიდა საორიენტაციო პროგრამების /ინსტრუქტაჟის შემუშავება და დანერგვა;
• კადრების განვითარების მიზნით საჭიროებათა ყოველწლიური შეფასება და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება, მათ შორის უცხოელი სპეციალისტების მოწვევა პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაციის მუდმივი განვითარების მიზნით;
• ახალი პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოზიდვის სისტემატიური ღონისძიებები (მათ შორის, წარჩინებული კურსდამთავრებულების, შესაბამისი დარგის სპეციალისტების და სხვა წარმატებული მაგალითების გაზიარების დახმარებით);
• პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოზიდვა - დაინტერესება გენდერული სტერეოტიპების წინააღმდეგ გენდერული ნიშნით პროფესიების დაყოფის სტიგმის აღმოსაფხვრელად;
•პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის შრომის პირობების გაუმჯობესება (მაგალითად, სასადილო, დასვენების ოთახი და სხვა);
• დუალური პროგრამის ინსტრუქტორების კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლება სწავლების მეთოდოლოგიაში;

3. სასწავლო რესურსების განვითარება

• წიგნადი ფონდის მუდმივი განახლება და შევსება;
• ელექტრონულ ლიტერატურაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
• პროგრამების შესაბამისად სასწავლო მასალით უწყვეტი მომარაგების სისტემის გამართვა;
• სასწავლო ექსპედიციების ორგანიზება (მაგალითად, პრაქტიკული სწავლების ობიექტებზე, მუზეუმში და სხვა).

4. მართვის სისტემები და ხარისხის მართვა

• ფონდების მოძიება-მოზიდვის კომპეტენციის განვითარება;
• სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება;
• მართვისა და ადმინისტრაციული პროცედურების შემდგომი სრულყოფა (მათ შორის ხარისხის მართვის სისტემის გაუმჯობესება);
• პერსონალის სამუშაო აღწერილობების გადახედვა და გაუმჯობესება;
• პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემის ამოქმედება;
კოლეჯის საქმიანობაში გენდერული მიდგომების განხორციელება, გენდერული სტატისტიკის რეგულარულად წარმოება და ანალიზი.
. სტუდენტური ცხოვრებისა და სასწავლო პირობების გაუმჯობესება.

• პროფესიული სტუდენტებისათვის სოციალური აქტივობისა და რეკრეაციის ადგილების გამოყოფა, კეთილმოწყობა;
• პროფესიული სტუდენტის წახალისების ახალი მექანიზმების ამოქმედება (მაგალითად, პროფესიულ სტუდენტთა ნამუშევრების თვალსაჩინო ადგილზე გამოფენა და ა.შ.);
• პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ინფორმირების სისტემის მუდმივი სრულყოფა;
• შიდა და გასვლითი კონფერენციების ორგანიზება;
• ადგილობრივი და გასვლითი ღონისძიებების ორგანიზება (მაგალითად, გასართობ-შემეცნებითი ექსკურსიები, სპორტული ღონისძიებები და სხვა).

5. პროფესიული სტუდენტური ცხოვრებისა და სასწავლო პირობების გაუმჯობესება

- პროფესიული სტუდენტებისათვის სოციალური აქტივობისა და რეკრეაციის ადგილების გამოყოფა, კეთილმოწყობა;
- პროფესიული სტუდენტის წახალისების ახალი მექანიზმების ამოქმედება;
- პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების სისტემის მუდმივი სრულყოფა;
- შიდა და გასვლითი კონფერენციების ორგანიზება;
- ადგილობრივი და გასვლითი ღონისძიებების ორგანიზება (მაგალითად, გასართობ-შემეცნებით ექსკურსია, სპორტული ღონისძებები და სხვა) პროფესიული სტუდენტების მონაწილეობით.

2020-2026 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის განხორციელების გრაფიკი

სტრატეგიული ამოცანა	განხორციელების წლები							შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი პირი/პირები	რისკები
	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026			
	სტრატეგიული მიზანი 1 **ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემის განვითარება**									
ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებაზე ზრუნვა ხარისხის ციკლის შესაბამისად: დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-განავითარე								სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები	დირექტორი; ხარისხის მართვის მენეჯერი;	
არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები/ პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადების პროგრამების განვითარება და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა								1. ბრძანება პროგრამებში შეტანილი ცვლილებების შესახებ და წერილი ცენტრის ინფორმირების შესახებ. 2. წერილი შესაბამის უწყებაში პროგრამაში ცვლილებების საჭიროების შესახებ. 3.ბრძანება ახალი პროგრამის დამტკიცების შესახებ; 4. საბჭოს გადაწყვეტილება პროგრამის დამატების შესახებ.	დირექტორის მოადგილე; სასწავლო პროცესის მართვის სტრუქტურული ერთეული; ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი.	1. პროგრამის გაუთვალისწინებელი მოდიფიცირება ცენტრის მხრიდან; 2. გამოკითხულების მხრიდან არასაკმარისი ჩართულობა; 3. დაგვიანებული ჩართვა.
დუალური და ინტეგრირებული მიდგომით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება								1. შემუშავებული საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებით და განხორციელების ამსახველი დოკუმენტაცია; 2. პარტნიორ ორგანიზაციებთან დადებული მემორანდუმები და ხელშეკრულებები.	დირექტორის მოადგილე; ხარისხის მართვის მენეჯერი; საწარმოო პრაქტიკი მენეჯერი;	პარტნიორი ორგანიზაციის მხრიდან უარი, პროგრამაში ჩართულობაზე
პროფესიული მომზადება-პროფესიული გადამზადების პროგრამების სპექტრის გაზრდა შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად								1. შემუშავებული მოკლევადიანი სასერტიფიკატო მომზადება/გადამზადების პროგრამები და მათი განხორციელების ამსახველი დოკუმენტაცია; 2. შრომის ბაზრის კვლევის შედეგები .	დირექტორის მოადგილე; ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი	შრომის ბაზრის კვლევაში, გამოკითხულების მხრიდან არასაკმარისი ჩართულობა.
	სტრატეგიული მიზანი 2 **კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ინფრასტრუქტურის განვითარება**									
ახალი, სტანდარტებთან შესაბამისი სხვადასხვა მიმართულების პროგრამებისთვის ლაბორატორიებისა და დამხმარე შენობა/ნაგებობების მშენებლობა								არსებული ინფრასტრუქტურის ფაქტობრივი მდგომარეობა და საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია	დირექტორი; ფინანსური მენეჯერი; შესყიდვების სპეციალისტი.	
პროგრამების მოთხოვნების შესაბამისი აპარატურის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება								1. ტექნიკის შეძენის დოკუმენტაცია/ბალანსზე აღრიცხული ტექნიკა; 2. შეკეთების სამუშაოების შესახებ ინფორმაცია	დირექტორი; ფინანსური მენეჯერი; შესყიდვების სპეციალისტი	1. ფინანსური მხარდაჭერის ნაკლებობა; 2. ტექნიკის შეუსაბამობა; 3. განახლების დროში გახანგრძლივება
კოლეჯის უსაფრთხოების და ხანძრსაწინააღმდეგო სისტემებით უზრუნველყოფა								უსაფრთხოების და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებით უზრუნველყოფილი კოლეჯის შენობა	დირექტორი; ფინანსური მენეჯერი; შესყიდვების სპეციალისტი; შრომის დაცვისა და ტექნიკური უსაფრთხოების მენეჯერი;	სხვა ორგანიზაცოასთან გაფორმებული ხელშეკრულების დროითი ჩარჩოების კონტროლის სუსტი მექანიზმი
ქალაქ ფოთისა და ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოჯიხევის ლოკაციაზე, ეზოში, სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისი სახელოსნოების მოწყობა.								არსებული ინფრასტრუქტურის ფაქტობრივი მდგომარეობა და საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია	დირექტორი, მთავარი ბუღალტერი; მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი, შესყიდვების სპეციალისტი.	

კოლეჯის ეზოს კეთილმოწყობა და სპორტული მოედნის მშენებლობა								შესაბამისად მოწყობილი ეზო და სპორტული მოედანი	დირექტორი; ფინანსური მენეჯერი; შესყიდვების სპეციალისტი.	არასაკმარისი ფინანსები
ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოჯიხევის ლოკაციაზე ოთხსართულიანი შენობის რეაბილიტაცია, ეზოს კეთილმოწყობა და სპორტული მოედნის მშენებლობა.								1.შესაბამისად მოწყობილი ეზო და სპორტული მოედანი; 2. რეაბილიტირებული შენობა	დირექტორი; ფინანსური მენეჯერი; შესყიდვების სპეციალისტი.	არასაკმარისი ფინანსები
კომფორტული, ჯანსაღი სასწავლო სამუშაო გარემოს შექმნა/შენარჩუნება								ფაქტობრივი გარემო/ვიზუალური დათვალიერება;	დირექტორი; დირექტორის მოადგილე.	1. ფინანსური მხარდაჭერის ნაკლებობა; 2. შესაბამისი უწყებიდან
	სტრატეგიული მიზანი 3 **სტუდენტური სერვისების განვითარება**									
პროფესიულ სტუდენტთა კონსულტირებისა და მხარდაჭერის სერვისების განვითარება								1. ვებ გვერდზე და სოციალურ ქსელებში განთავსებული ინფორმაცია დაგეგმილი და ჩატარებული აქტივობების შესახებ; 2. დამზადებული ბუკლეტები; 3. ბრენდირებული ნივთები; 4. გამოკითხვის შედეგები გაწეული კონსულტაციის შესახებ	დირექტორი; პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი	1. ფინანსური რესურსების ნაკლებობა; 2. არაეფექტური საინფორმაციო მასალა;
დამატებითი აქტივობების წახალისებასა და სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის სისტემის გაუმჯობესება.								1. ვებ გვერდზე და სოციალურ ქსელებში განთავსებული ინფორმაცია დაგეგმილი და ჩატარებული აქტივობების შესახებ;	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ადამიანური რესურსების განვითარების მენეჯერი	1. შეუსაბამო აქტივობების შეთავაზება; 2. პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობის ნაკლებობა
სტუდენტების და კურსდამთავრებულების კარიერული განვითარების სერვისების გაუმჯობესება და დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმების გაძლიერება								1. კომპანიებთან მოლაპარაკება პარტნიორობის შესაძლებლობების შესახებ; 2. დოკუმენტი (მემორანდუმი) კომპანიებთან პარტნიორობის შესახებ; 3.კურსდამთავრებულთა კომუნიკაციის შედეგები; 4. დასაქმების მაჩვენებელი; 5. დასაქმების ფორუმის ორგანიზების/მონაწილეობის შესახებ ასახული ინფორმაცია ვებ გვერდზე/სოციალურ ქსელში.	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი	1. კომპანიების მხრიდან ნაკლები ინტერესი; 2. კურსდამთავრებულების უკუკავშირის ნაკლებობა.
	სტრატეგიული მიზანი 4 **ადამიანური რესურსების განვითარება**									
თანამშრომლების გადამზადება/კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა								1. ჩატარებული შიდა ტრენინგების შესახებ ასახული ინფორმაცია ვებ გვერდზე/სოციალურ ქსელში/ანგარიშში. 2. ჩატარებული ტრენინგების დოკუმენტაცია: ცნობა გადამზადების შესახებ/ სერთიფიკატი.	დირექტორი; საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ადამიანური რესურსების განვითარების მენეჯერი	1. ფინანსური რესურსების ნაკლებობა; 2. არაეფექტური ტრენინგები;
თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლება და კმაყოფილების ზრდა								1. გაცემული პრემია; 2. დაწინაურებული კადრი; 3. მიღწევების აღიარება	დირექტორი; საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ადამიანური რესურსების განვითარების მენეჯერი	1. წახალისების მექანიზმების სისუსტე; 2. ფინანსური რესურსების ნაკლებობა.
გამოკითხვების ორგანიზება								1.შედგენილი კითხვარი ინტერესების, საჭიროებების, კმაყოფილების კვლევის შესახებ; 2. გამოკითხვის შედეგები გაწეული მომსახურების შესახებ; 3. შედეგების ანალიზის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები.	საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ადამიანური რესურსების განვითარების მენეჯერი	1. არავალიდური კითხვარი
	სტრატეგიული მიზანი 5 **საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესების განვითარება**									
საკომუნიკაციო საშუალებების განვითარება, მათ შორის ვებ გვერდის, სოციალური ქსელისა და სხვა.								1. აქტიური ვებ გვერდი და სოციალური ქსელები	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ადამიანური რესურსების განვითარების მენეჯერი; ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი	ჰაკერული შემოტევები

მედია საშუალებების გამოყენება ცნობადობის ამაღლების მიზნით								1. მედიის წარმომადგენლებთან კომუნიკაციის მტკიცებულებები და შეხვედრები; 2. მედიაში გამოქვეყნებული საინფორმაციო მასალა	საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი	1. ფინანსური მხარდაჭერის ნაკლებობა; 2. არაეფექტური საინფორმაციო მასალა
სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის PR აქტივობების ჩატარება								1. ვებ გვერდზე და სოციალურ ქსელებში განთავსებული ინფორმაცია დაგეგმილი და ჩატარებული აქტივობების შესახებ; 2. ჩატარებული ღია კარის დღეები და საპროფორიენტაციო შეხვედრების ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალა	საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი; პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი	1. ფინანსური რესურსების ნაკლებობა; 2. არაეფექტური საინფორმაციო მასალა; 3. არაპროფესიონალური ორგანიზება.
საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება, მათ შორის უცხოელი საგანმანათლებლო და ბიზნესპარტნიორებთან თანამშრომლობა და ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება.								1. დონორებთან კომუნიკაციის შედეგები; 2. მხარდაჭერის მაგალითები; 3. განხორციელებული პროექტები.	დირექტორი. პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ადამიანური რესურსების განვითარების მენეჯერი	1. ჩართულობის/ინტერესის ნაკლებობა; 2. სასურველი შედეგების მიუღწევლობა